ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №233574

ნომერი: AR161223

თარიღი : 25.06.2012

გაცემის თარიღი : 26.06.2012

გაცნობის თარიღი : 26.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გიორგი წერეთლის , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ჭყოიძე პ/ნ 18001017688
- ქ. ზესტაფონი, ღამბაშიძის 1 ჩიხი #19

ორგანიზაცია:
- სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი კოდი: 204861970

ნომენკლატურა :

- I კლასი
- კონდიციონერისა და სავენტილაციო მილის მოწყობა რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ფასადზე პირველი კლასის კონდენციონერების მოწყობის განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე.

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გიორგი წერეთლის ქუჩა #3-ში, სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს სარგებლობაში არსებული ფართის ფასადზე კონდენციონერების მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება პირველი კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახური.

”მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (შპს ”ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის”-ს სარგებლობაში არსებული ფართის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #882012103404 16.03.2012წ. საკადასტრო კოდი #01.14.07.010.007, ასევე საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი-ვაკე, გიორგი წერეთლის ქუჩა #3-ში, სსიპ "ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი"-ს სარგებლობაში არსებული ფართის ფასადზე კონდენციონერების მოწყობის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.